შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№27 (9.543)

27 ივლისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

სპორტული სტადიონები – ქვემო ქედსა და არხილოსკალოს

25 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით — ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე თამაზ კირვალიძე სოფელ სამთაწყაროს, ქვემო ქედს და არხილოსკალოს ესტუმრნენ. იქ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულეს. მოსახლეობას სოფელში არსებული პრობლემების შესახებ გაესაუბრნენ. სამთაწყაროელებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისათვის. სწორედ მათი ძალისხმევით მოხდა სოფელში არსებული საასფლაოსთვის მესერის შემოვლება.

ახალგაზრდების მოთხოვნით ახალი მინი-სპორტული სტადიონები გაკეთდა და კეთილმოეწყო სოფელ ქვემო ქედსა და არხილოსკალოში. მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავად მოინახულა სტადიონები, ახალგაზრდებს გაესაუბრა და სიმბოლურად ბურთიც გაიტანა კარში.

მოსახლეობასთან შეხვედრებს წარმატებული ძიუდოისტი, სამგზის ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი ესწრებოდა. ის ახალგაზრდა თაობას მხარში დგომას დაჰპირდა და ურჩია, აქტიურად დაკავდნენ ცხოვრების ჯანსაღი წესით.

ფიროსმანი და ფინანსები: მარადიული პრობლემა

მსოფლიო ბანკის პროექტის დირექტორი ასმათ აბესაძე მირზაანში მდებარე ფიროსმანის სახლმუზეუმის სარეაბილიტაციო ნუსხიდან ამოღების მიზეზებს განმარტავს და რეაბილიტაციის თანხებს უაზროდ გაბერილს უწოდებს. ეს განცხადება პროექტის ხელმძღვანელმა მირზაანში გამართული შეხვედრის შემდეგ გაზეთ „შირაქთან“ გააკეთა.

მისი განმარტებით, მსოფლიო ბანკი პროექტის დაფინანსებისთვის სრულ მზაობას გამოხატავს, თუმცა, ის რომ პირველ ეტაპზე ფიროსმანის მუზეუმი პრიორიტეტთა სიიდან ამოიღეს, ეს გადაწყვეტილება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეკუთვნის.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები 20 ივლისს, დღის 12 საათზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანს ეწვივნენ და ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში შეხვედრა გამართეს. მოხდა კახეთის რეგიონში მათ მიერ დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია და დეტალური განხილვა. საუბარი იყო სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის მუზეუმის განვითარების პროექტის დაფინანსებაზეც.

ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე მსოფლიო ბანკმა განსახორციელებელი პროექტების ნუსხიდან სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის განვითარების პროექტი ამოიღო. გასულ თვეებში ექსპერტებმა ვითარება ადგილზე შეისწავლეს, შედგა პროექტიც, თუმცა, გაირკვა, რომ მუზეუმი სიიდან ამოღებულია. ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველ ნელი გობეჯიშვილს იმედი აქვს, რომ მსოფლიო ბანკი პროექტს შემდეგ ეტაპზე მაინც დააფინანსებს.

შეხვედრას მოწვეული სტუმრები კახეთის სხვადასხვა რაიონებიდან დაესწრნენ, მათ შორის სიღნაღის გამგეობისა და კულტურის სამსახურის თანამშრომლებიც. შეხვედრა პრეზენტაციით დაიწყო. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სლაიდშოუ, თუ რას გეგმავს მსოფლიო ბანკი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების განვითარებისთვის. აღინიშნა, რომ ეს პროექტები იტალიელი სპეციალისტების შედგენილია. მათი განმარტებით, კახეთის რეაბილიტაციის პროექტში შემავალ 12 სოფელში მოსახლეობის გამოკითხვა აწარმოეს, მიღებული შედეგები კი ვაშინგტონში - მსოფლიო ბანკის ცენტრალურ ოფისს მიაწოდეს.

მირზაანში ჩამოსულმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა თითოეული მირზაანელის მოსაზრება, იდეა ან შენიშვნა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ისინი აქტიური ჩართულობისკენ და იდეების გაზიარებისკენ მოუწოდებდნენ.

„ვფიქრობ, რომ ძალზე საინტერესო პროექტები გამოდის. მსოფლიო ბანკი ძალიან ღელავს და დაინტერესებულია იმით, თუ რამდენად სარგებლის მომტანი და საინტერესო იქნება კახეთის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც უკვე მიმდინარეობს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ანუ, რამდენად მოიგებს მცირე, თუ მსხვილი ბიზნესი იმით, რომ კახეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ირგვლივ ინფრასტრუქტურა ვითარდება. რას მოგვიტანს ტურისტების გაზრდილი ნაკადი და იგრძნობს თუ არა სარგებელს სოფლის თითოეული მოსახლე. არადა, ტურისტების ზრდის ტენდენცია უკვე შესამჩნევია. ჩვენი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ გამოგვერკვია, საკითხები, რომლებიც რეაბილიტაციის პროგრამის მიღმა დარჩა და აუცილებლად მოსაგვარებელია. იმისთვის, რომ მოსახლეობამ მაქსიმალური შვება იგრძნოს და მაქსიმალური შედეგი მივიღოთ. ამ თემაზე უკვე მეორე შეხვედრა იმართება. პირველ საფეხურზე გამოკითხვები ჩავატარეთ კერძო სექტორში, თვითმმართველობის ორგანოებსა და რიგით მაცხოვრებლებში. დავინტერესდით მათი აზრით, თუ რა შემთხვევაში შეძლებენ ისინი იმ ბიზნესსაქმიანობაში ჩართვას, რომელიც ტურისტის მისაღებად არის საჭირო. მოგეხსენებათ ტურისტს ესაჭიროება მომსახურება, კვება, სასტუმრო, დასვენება და ა.შ. რაც შესაძლებელია ადგილობრივებმა შეასრულონ. ჩვენ მიღებული ინფორმაცია უკვე მივაწოდეთ მსოფლიო ბანკს.

რაც შეეხება მეორე შეხვედრას, რამოდენიმე პრობლემატური საკითხი დასახელდა, რომლის გამოსავალიც აუცილებლად უნდა მოიძებნოს. გამოიკვეთა, რომ ტურიზმი კახეთში არის სეზონური. ყველა მხარე აღნიშნავს, რომ ტურისტების ნაკადის მატება მაისის თვეში იწყება, აგვისტოში საზღვაო სეზონის გამო იკლებს და სექტემბერ-ოქტომბერში კვლავ ახლდება. შემდეგ ნაკადი ისევ წყდება. საინტერესოა, როგორ ფიქრობს მოსახლეობა სეზონური ტურიზმის პრობლემის მოგვარებას და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ტურისტი სხვა თვეებშიც მოდიოდეს.

(გაგრძელება გვ.4)

დედოფლისწყაროდან — ლონდონამდე

გვ. 5

1 აგვისტოდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაცია დაიწყება

გვ. 2

ყურადღება,სიახლე!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქუჩაზე, ყოფილი ყველმრეწვის შენობაში, ფუნქციონირება დაიწყო საქონლის სასაკლაომ. მსურველები დაგვიკავშირდით:

579 632007;

571 199881

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

ვანო მერაბიშვილი – გვინდა, რომ 1 სექტემბრიდან სამედიცინო პერსონალის ხელფასები გაიზარდოს

„ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ექთნებს ძალიან დაბალი ხელფასი აქვთ და ჩვენ ეხლა ვმუშაობთ სადაზღვევო კომპანიებთან და პირველ რიგში ვაყენებთ საკითხს, რომ პირველი სექტემბრიდან ექთნების, ექიმების და სანიტარების ხელფასები გაიზარდოს“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის შემდგომ სამედიცინო ცენტრებში მიმართვიანობის რაოდენობა ექვსჯერ გაიზარდა და 1 სექტემბრიდან ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის გაფართოებას უკავშირდება.

„2012 წლის 1 სექტემბრიდან, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ პირთა რაოდენობა 1 მილიონი ადამიანით გაიზრდება და 1 მილიონ 900 ათას ადამიანს მიაღწევს, რასაც ის 500 ათასი ადამიანი ემატება, ვინც კერძო დაზღვევებით სარგებლობს. შედეგად, 1 სექტემბრიდან საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე ისარგებლებს ჯანმთელობის დაზღვევის პოლისით“, — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

დიმიტრი გვინდაძე – აგროსესხების გადავადებაზე სახელმწიფოს ადეკვატური პასუხი ექნება

ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას საბანკო სესხებთან დაკავშირებით მაქსიმალურად ადეკვატურ რეაგირებას ჰპირდება.

როგორც გვინდაძემ პარლამენტის დღეს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე ოპოზიციის კითხვის პასუხად განაცხადა, სახელმწიფო, საჭიროებებიდან გამომდინარე, როგორც ბანკებთან, ისე ფერმერებთან იმუშავებს.

“საჭიროებების აღწერა უკვე მიმდინარეობს, რადგან ძალიან ბევრი ინფორმაციაა მოსაგროვებელი. ჩვენი პასუხი იმ გამოწვევების მაქსიმალურად ადეკვატური იქნება, რაც სოფლის მეურნეობის დარგში არსებობს”, — აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

სტიქიით დაზარალებული, აგროსესხების მქონე გლეხების დახმარების საკითხი სხდომაზე ფრაქცია “ქრისტიან-დემოკრატებმა” დასვა. როგორც ფრაქციის წევრებმა აღნიშნეს, სესხების ერთი წლით გადავადება, რასაც სახელმწიფო ამ გლეხებს ჰპირდება, საკმარისი არ იქნება, რადგან ისინი მოსავლის მიღებას 2-3 წლის მერე შეძლებენ. შესაბამისად, ოპოზიციონერი დეპუტატები სტიქიით დაზარალებულთათვის აგროსესხების გადავადებაზე 2-3-წლიანი შეღავათის დაწესებას ითხოვენ.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხა 2013 წლის ბიუჯეტშიც აისახება

ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძის განცხადებით, საქართველოს რეგიონებში მომხდარი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული. მან ეს განცხადება პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე 2012 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვისას გააკეთა, რომლებიც სწორედ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციითა და მოსახლეობის კომპენსირებით არის განპირობებული.

მინისტრის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 162 მილიონი ლარი “ბოლო გაჩერება” არ არის.

“ამას მსხვილი ასიგნებები მოჰყვება — ათობით მილიონი ლარი”, -- აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ და დასძინა, რომ წელს სტიქიის ლიკვიდაციაზე მხოლოდ 162 მილიონი არ დაიხარჯება, რადგან სამინისტროებმა მათი ასიგნებების ხარჯვა სტიქიის დღიდანვე დაიწყეს. ეს თანხა კი ხსენებულ 162 მილიონ ლარს ემატება.

ლევან ბეჟაშვილი კახეთის აღდგენისა და აღორძინების საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა

25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა კახეთში მის პირად წარმომადგენლად ლევან ბეჟაშვილი დანიშნა. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სათავეში კახეთის აღდგენისა და აღორძნების შტაბს ჩაუდგება და იმ სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს, რომელიც სტიქიის შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებებს ახორციელებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ლევან ბეჟაშვილს სახელმწიფო თანხის განკარგვის დიდი გამოცდილება აქვს, რაც დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს მას დიდად წაადგება.

„ძალიან ვაჟკაცური საქციელია ის, რომ დატოვე მაღალი თანამდებობა და კონტროლის პალატის ხელმძღვანელის პოსტს მშობლიური კუთხის, კახეთის დახმარება ამჯობინე. მართალია, მსხვერპლი არ იყო და ამ მხრივ გადავრჩით, მაგრამ მსგავსი მასშტაბის ნგრევა, საქართველოს არ ახსოვს. ძალიან დიდი გამოცდილება გაქვს სახელმწიფო თანხის განკარგვის, მისი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების და ეს მეტად მნიშვნელოვანია. პარლამენტმა ძალიან დიდი თანხა გამოყო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის და, საბოლოოდ, ვფიქრობ, რამდენიმე ასეულ მილიონს მიაღწევს. ამიტომ, გთხოვ, სათავეში ჩაუდგე კახეთის აღდგენისა და აღორძნების საკოორდინაციო შტაბს და გახდე ჩვენი მთავრობის, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი. ამ საკითხებით პირადად მეც და მთავრობის წევრებიც ვიქნებით დაკავებული, მაგრამ ეს დაგვჭირდება ახლაც და რთველის პერიოდშიც“, - აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა მასთან საუბრისას.

შეხვედრის დროს მიხეილ სააკაშვილმა ლევან ბეჟაშვილთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილა სტიქიის შედეგების წინასწარი მონაცემები და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ იმსჯელა. როგორც ბეჟაშვილმა პრეზიდენტს განუმარტა თელავში, დაახლეობით, 1045 სახლი და 109 კორპუსია დაზიანებული. მისი თქმით, ამ ეტაპზე აღდგენის სამუშაოები აქტურად მიმდინარეობს. ქვეყნის პირველი პირის თქმით, დაზარალებულებს დახმარება სჭირდება არა მხოლოდ კახეთში, არამედ მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში.

„რა თქმა უნდა, ჯობდა, ეს უბედურება თავს არ დაგვტეხოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ხალხმა დაინახა, რომ მთავრობა ეფექტიანია და მოწოდების სიმაღლეზე დგას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი წუთით მაინც შეგვიძლია მოვდუნდეთ, რადგან ხალხი ჯერ კიდევ სახურავის გარეშეა დარჩენილი და ზოგს კომპენსაციაც არ მიუღია. ეს პროცესი დროულად არის დასამთავრებელი და შემდეგ გადარჩენილ ვენახებში საუკეთესო რთველი უნდა ჩავატაროთ. კახეთზე მუდმივად უნდა ვიზრუნოთ, რათა მომავალი წლისთვის შემოვიტანოთ უკეთესი ჯიშები და ხალხმა კარგი მოსავალი მიიღოს. უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ამ გადავადებულ კრედიტებს, რომელიც მათ მომავალ წელს დააწვება, გასტუმრება უნდა“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

ლევან ბეჟაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ქუთაისში, მთავრობის სახლში გაიმართა.

მოსახლეობისთვის კომპენსაციების დარიგება აგვისტოდან დაიწყება

პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა, კომპენსაციებს 15 აგვისტომდე მიიღებს.

ამის შესახებ განცხადება, მანჯგალაძემ დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, სასურსათო კალათა 28 000 ოჯახს უნდა მიეღო და ამ დროისთვის უკვე 14 000 ოჯახს მიღებული აქვს. პრეზიდენტის პრესსპიკერის ინფორმაციით, კახეთს 26 ივლისისთვის ენელექტროენერგიის მიწოდება სრულად აღუდგება.

„სავარაუდოდ, საკომპენსაციო თანხების დარიგება აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყება, 15 აგვისტოსთვის ეს პროცესი უკვე დასრულებული იქნება. საბიუჯეტო ცვლილებებით გათვალისწინებულია 160 მილიონი ლარის მობილიზება, საიდანაც 50 მილიონით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი გადაუდებელი ღონისძიებები დაფინანსდება“,- განაცხადა მანჯგალაძემ.

პრესსპიკერის განცხადებით, რეგიონში სულ 30 000 სახლი იყო დაზიანებული, ამ დროისათვის კი, 80%-ზე მეტს უკვე სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება.

საინვესტიციო სააგენტოს გიორგი პერტაია უხელმძღვანელებს

საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე უკვე ყოფილი ბიზნეს ომბუდსმენი გიორგი პერტაია დაინიშნა.

პერტაიამ სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე ქეთევან ბოჭორიშვილი შეცვალა, რომელიც ცოტა ხნის წინ ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

პერტაიასთვის უცნობია, ვინ შეცვლის მას ბიზნეს ომბუდსმენის თანამდებობაზე.

კანონის თანახმად, ბიზნეს ომბუდსმენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს.

საქართველოს საინვესტიციო სააგენტო საჯარო დაწესებულებაა, რომელიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ექსპორტის ხელშეწყობაზე მუშაობს.

1 აგვისტოდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაცია დაიწყება



1 აგვისტოდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაცია დაიწყება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.

„უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებათა პრევენციაზეა ორიენტირებული. პროგრამის თანახმად, საქართველოს მასშტაბით 1 აგვისტოდან თურქულის, ხოლო 1 სექტემბრიდან ჯილეხის ვაქცინაცია დაიწყება. ამ მიზნით, დაახლოებით ერთ კვირაში იტალიიდან შემოვა 950 000 თურქულის ფრანგული წარმოების ვაქცინა, ხოლო უკრაინიდან და რუმინეთიდან ჯილეხის 180 000 ვაქცინა. ვაქცინაციის განსახორციელებლად შეიქმნა 250 მობილური ჯგუფი, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 53 მუნიციპალიტეტის 3000 სოფელში ადგილზე განახორციელებენ ვაქცინაციას“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

უძველესი ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს

ყვარელში დოლოჭოპის ტერიტორიაზე V-VI საუკუნის ნაგებობის ნანგრევები აღმოაჩინეს. ნაგებობა დაახლოებით 40 მ სიგრძისა და 16 მ სიგანის, 5 წყვილი ჯვარისებრი გეგმის სვეტების წყვილით სამ ნავად დაყოფილ ბაზილიკური ტიპის ტაძარს წარმოადგენს.

სამნავიანი ბაზილიკური ტაძარი, თავისი სიდიდით გაცილებით დიდია, ვიდრე ბოლნისის სიონი.

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნოდარ ბახტაძემ განაცხადა, ეკლესია სავარაუდოდ მეხუთე- მეექვსე საუკუნეშია აშენებული. ამ ეტაპზე ადგილზე განმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს, რის შემდეგაც კვლევები დაიწყება და დაზუსტდება, თუ რომელ საუკუნეშია აგებული ტაძარი.

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე ტენდერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ გამოაცხადა. სამუშაოების შესრულების სურვილი მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოთქვა, რომელიც ამ სამუშაოსთვის ბიუჯეტიდან 39 900 ლარს მიიღებს.

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამარხებსაც მიაკვლიეს, თუმცა ისინი გაძარცვულია.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს არქეოლოგიური აღმოჩენა მასშტაბური იქნება.

არქეოლოგიური სამუშაოები დოლოჭოპის ტერიტორიაზე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

განმარტება

გაზეთ “შირაქის“ რედაქცია გაცნობებთ, რომ 28 ივლისს დაანონსებული ნინი ბადურაშვილის კონცერტი გადაიდო. მიზეზი კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურება გახდა. როგორც გაზეთს ნინი ბადურაშვილის პროდიუსერმა ბექა ხალათაშვილმა აცნობა, სტიქიის გამო საკონცერტო ტურნედან კახეთის რეგიონი დროებით ამოიღეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონცერტი აღარ გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილმა თელავში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაათვალიერა

26 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა თელავში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. მიხეილ სააკაშვილი მშვიდობის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და ალაზნისველის გამზირზე მოსახლეობას შეხვდა, რომელსაც დაგეგმილ ღონისძიებებსა და სამომავლო პროექტებზე ესაუბრა.

„აქ ყველა სახლი აუცილებლად გადაიხურება, თუმცა დღეს აქ მოვედი თბილისის მერთან ერთად, რომლის ინიციატივითაც აქ სკვერი გაკეთდა. პირველი დღიდან თელავში თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები მუშობენ. ასევე აქ იმყოფება ჩვენი შეიარაღებული ჯარების სარეზერვო და ძირითადი შემადგენლობა. კახეთში დასახმარებლად ჩამოვიდნენ ყველა რეგიონიდან - მე შემხვდნენ ხაშურელები, ბათუმელები, ოზურგეთელები, რუსთაველები, ქუთაისელები და ეს არის საერთო ქართული აღდგენის პროცესი. ეს პროცესი არ დაწყებულა მარტო ამ სტიქიის გამო, თუმცა ამ მოვლენამ დიდი სტიმული მოგვცა და მხოლოდ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციით არ გაჩერდება. ეს მოედანიც მოეწყობა, რაც თბილისის სოლიდარობის გამოხატულებაა“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირი მოსახლეობის პრობლემებითაც დაინტერესდა და ადგილობრივთა ის ნაწილი დაამშვიდა, რომელთანაც აღდგენითი სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ვერც ერთი ქვეყნის მთავრობა ვერ მოახერხებდა ერთ კვირაში სახლების, თუნდაც, 70 პროცენტის აღდგენას. საქართველოს ხელისუფლებამ კი, პრეზიდენტის განცხადებით, ეს შეძლო, რაც იმას ნიშავს რომ ქვეყანას ეფექტიანი და ქმედითი მთავრობა ჰყავს.

„მე მინდა კახელებს ვუთხრა, მათ, ვისთანაც სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა კახეთში ჯერ კიდევ სახლების მესამედში არ მისულან აღსადგენად, თუმცა ყველგან მივალთ და ყველა დაზარალებულს შევხვდებით. ყველგან ერთბაშად ვერ დავიწყებდით - ამდენი არც მასალა გვქონდა და არც მუშა-ხელი, მაგრამ აუცილებლად შევალთ ყველგან. რაც მთავარია, სახურავების შეკეთების პარალელურად, მოვაწყობთ ეზოებს ისე, როგორც ეს შვეიცარიასა და ჰოლანდიაშია, განვაგრძობთ სასურსათო დახმარებას და სტუდენტების ხელშეწყობას, რათა გარეთ არ დარჩნენ. თელავის ცენტრში სამუშაოები აუცილებლად უნდა დავასრულოთ. სწორედ ახლაა დრო ყველაფერი ვაკეთოთ - სახლებიც აღვადგინოთ, სკვერებიც ვაშენოთ, ეკონომიკაც განვავითაროთ, აღმშენებლობაც გავაგრძელოთ... თელავი საქართველოს სანიმუშო ქალაქად, ქართული აღმშენებლობის გვირგვინად უნდა ვაქციოთ“, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირი თელავში თბილისის მერთან გიგი უგულავასთან ერთად იმყოფებოდა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშოებში თბილისის მერიის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და გამწვანების საქალაქო სამსახურები აქტიურად არის ჩართული. მშვიდობის ქუჩაზე თელაველებს თბილისის მერიამ საჩუქრის სახით დასასვენებელი სკვერი და სათამაშო მოედანი მოუწყო. დამონტაჟდა გარე განათების სისტემა და საბავშვო ატრაქციონები. მერიის ინიციატივით, რეკრეაციის ზონების მოწყობა კვლავაც გაგრძელდება და აგვისტოს დამლევამდე კიდევ ცხრა ახალი სკვერი გაიხსნება. ამ დროისათვის ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი თელავში ყველა აბონენტს მიეწოდება. სახურავებისა და დაზიანებული სახლების აღდგენას სპეციალისტები კვლავაც განაგრძობენ.

დედოფლისწყაროში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში: ხორნაბუჯში, გამარჯვებაში, არხილოსკალოსა და ფიროსმანში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 310 ათასი ლარი გამოიყო.

საბავშვო ბაღების შენობები ბოლო 7—8 წლის განმავლობაში დაზიანებული იყო, ფიროსმანში კი საბავშვო ბაღი საერთოდ არ ფუნქციონირებდა. „ამ დროისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები ოთხივე ბაღში მიმდინარეობს. ხორნაბუჯის საბავშვო ბაღისთვის ბიუჯეტიდან 97 ათასი ლარია გამოყოფილი, გამარჯვების საბავშვო ბაღისთვის — 93 ათასი ლარი, არხილოსკალოს საბავშვო ბაღისთვის — 80 ათასი ლარი, ხოლო ფიროსმანის საბავშვო ბაღისთვის 40 ათასი ლარი გამოიყო. სოფელ ფიროსმანში საბავშვო ბაღი საერთოდ არ არსებობდა და ამიტომ ჩვენ კერძო სახლი შევიძინეთ. საბავშვო ბაღებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება, ასევე მოეწყობა ეზოები. სარეაბილიტაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, 15 სექტემბრისთვის დასრულდება“, — განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა.

25 ივლისს ქედების ზონაში ვიზიტისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებიც მოინახულა და მომუშავე პერსონალს გაესაუბრა. ქვემო ქედის საბავშო ბაღის აღსაზრდელები შემოდგომიდან გარემონტებულ და კეთილმოწყობილ ბაღში განთავსდებიან.

დაზარალებული სტუდენტები წელს სწავლის გადასახადისგან გათავისუფლდებიან

სტიქიის შედეგად დაზარალებული სტუდენტები წელს სწავლის გადასახადისგან გათავისუფლდებიან. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თელავში, მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ვისაც სწავლის გადასახადი აქვს გადასახდელი, იმათ მოვუხსნით წელს გადასახადს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, საერთოდ მოვუხსნით, ის კი არა, რომ გავუყინავთ, მოვუხსნით,“— განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ფიროსმანი და ფინანსები: მარადიული პრობლემა

(პირველი გვერდიდან)

გვინდა ვისაუბროთ საუკეთესო მაგალითებზე, შევქმნათ საუკეთესო სცენარი, როგორ შევინარჩუნოთ ტურისტთა ნაკადი ყველა სეზონზე. რა სახის ბიზნესის განვითარება შეიძლება კახეთში თუნდაც სახელმწიფოს დახმარებით. რა შეიძლება შევთავაზოთ ტურისტს. ხომ არ არის იმის საჭიროება, რომ ტურისტებისთვის შეთავაზებული სერვისი იყოს კიდევ უფრო გამრავალფეროვნებული. რა არის ამისთვის საჭირო როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. ასევე საინტერესოა, როგორ გავახანგრძლივოთ ტურისტის დარჩენა კახეთის რეგიონში.



იმ მიზეზით, რომ კახეთი თბილისთან ახლოს მდებარეობს, ტურის ხანგრძლივობა ორ დღეს არ აღემატება. ხანდახან ერთი დღით ჩამოდიან. დილით გვესტუმრებიან და ურჩევნიათ საღამოს ისევ თბილისში დაიძინონ. ანუ, ამ მიზეზით კახეთში ფული არ იხარჯება. ფინანსები მიემართება ისევ დედაქალაქისკენ. რატომ ხდება ასე, არ გვაქვს ადგილზე შესაბამისი სასტუმროები, თუ რაშია პრობლემა. ამიტომ ადგილობრივების მოსაზრებების ანგარიშის მოსმენა საინტერესო იქნება. სექტემბერში გვექნება კიდევ ერთი მუშა ჯგუფის შეხვედრა, სადაც შედეგებს შევაჯამებთ და მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისს წარვუდგენთ და სამუშაო გეგმა დაისახება.

მსოფლიო ბანკთან 2 დღის წინ მქონდა საუბარი. მას აქვს შეზღუდული რესურსი. მოგეხსენებათ, რომ ეს არ არის გრანტი, არამედ ჩვენ ვაძლევთ სესხს. ჩვენს მიერ თანხების ხარჯვა დამოკიდებულია სახელმწიფოს მოთხოვნაზე. თავად სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს ამა თუ იმ საქმიანობისთვის აიღებს თუ არა მსოფლიო ბანკის სესხს. ჩვენს ხელში არის შეთავაზება. მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მას ხელში აქვს საკმარისი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაარწმუნოს ქართული მხარე დათანხმდეს დამატებითი სესხის აღებაზე, რათა მოგვარდეს ცალკეული საკითხები. არსებული რეაბილიტაციის პროექტში კონსერვაციის თემა არ არის გათვალისწინებული. მსოფლიო ბანკი აპირებს, ამ კვლევების შესახებ მომზადებული ანგარიშის შედეგები ხელში დაიჭიროს და მოიაროს ყველა დონორის ოფისი, ყველა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რათა მოინახოს საკმარისი თანხა იმისათვის, რომ ვინც პროექტის გარეთ დარჩნენ მათი პრობლემებიც მოგვარდეს. ეს შეეხება მათ შორის მირზაანის მუზეუმსაც, რომლის დაფინანსება საკმარისი არ აღმოჩნდა და სიაში ვერ შევიდა. ასევე ეხება ბევრ ძეგლს, რომელსაც ბევრი პრობლემა აქვს.

- რაში მდგომარეობს მსოფლიო ბანკის ინტერესი ფიროსმანის მუზეუმთან დაკავშირებით?

-ფიროსმანის მუზეუმი იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მრავალფეროვანი გავხადოთ ტურისტული პროდუქტი კახეთში. ეს არის უნიკალური ადგილი, რადგან მსოფლიოში ერთადერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული ქართველი მხატვარია. ის ერთადერთია, რომლის ნახატებიც იყიდება „სოტბის“ და სხვა ცნობილ აუქციონებზე. აქედან გამომდინარე მირზაანი არის უნიკალური ადგილი არამარტო ჩვენთვის და კახელებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ფერწერაში ოდნავ მაინც ერკვევა. ტურისტისთვის საინტერესოა, რომ რამოდენიმე სამონასტრო კომპლექსის შემდეგ ნახოს რაიმე განსხვავებული და მინდა გითხრათ, რომ ეს განსხვავებული ადგილი არის სოფელი მირზაანი. ეს არის შესანიშნავი ტერიტორია, სადაც მშვენივრად შეიძლება დასვენება. აქ არის ასევე ნიკალას ორიგინალები, აქ არის სახლი, სადაც ფიროსმანი დაიბადა და გაიზარდა, სადაც ხატავდა. ამას გარდა, აქ არიან ქალბატონები, რომლებიც საოცრად საინტერესოდ ყვებიან ნიკალას ბიოგრაფიას და ნამუშევრების ისტორიას. ტურისტული თვალსაზრისით ეს ყველაფერი საოცრად საინტერესოა. წელიწადში აქ 100 ათას ტურისტზე მეტი მოდიოდა საბჭოთა კავშირის დროს, ეს კი იმიტომ, რომ იმ პერიოდში საოცრად განვითარებული იყო ინფრასტრუქტურა.

- მირზაანი ტურისტულ რუკაზე არაა დატანილი, რატომ არ არის შეყვანილი ტურისტულ მარშრუტში?

-როდესაც მე ტურისტულ ოპერატორებთან ეს საკითხი დავაყენე, ისინი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ გზა არის ძალიან დაზიანებული და ტრანსპორტს ამოსვლა უჭირს და მეორე ის, რომ ინფრასტრუქტურა მოუწყობელია. მუზეუმის ეზოში საპირფარეშო და ხელსაბანიც არ არის მოწყობილი.

-რატომ ამოიღეს სიიდან?

-ზუსტი პასუხი გამიჭირდება, მაგრამ მსოფლიო ბანკი სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა, მაგრამ ეს კითხვა ალბათ უფრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან უნდა დაისვას. საბოლოო ჯამში თანხა როგორ გადანაწილებულიყო ეს ქართულმა მხარემ გადაწყვიტა და პრიორიტეტები ასე განისაზღვრა. რატომღაც პირველ ეტაპზე პრიორიტეტებში მირზაანის მუზეუმი ვერ მოხვდა, თუმცა გვპირდებიან, რომ შემდეგ ეტაპზე სიაში აუცილებლად შევა. მინდა გითხრათ, რომ კულტურის მინისტრი ნიკა რურუა ამ პრობლემით ძალიან დაინტერესდა მირზაანის მდგომარეობით, თუ რატომ არ ხდება, თუ ვერ ხდება ამ კომპლექსის შეტანა რეაბილიტაციის ნუსხაში. მინისტრი ძალიან შეწუხდა არსებული მდგომარეობით და იმით, რომ ფინანსური რესურსი არის ნაკლები, რომ მუზეუმს მოვუაროთ... ნიკა რურუა უახლოეს მომავალში მირზაანში ჩამოსვლას და არსებული ვითარების ადგილზე გაცნობას გეგმავს. ის, რომ პირველ ეტაპზე რეაბილიტაცია ვერ იწყება, ეს ქართული მხარის გადასაწყვეტი იყო. მირზაანი პირველად სიაში იყო შეტანილი, არსებობდა სრული მზაობა, თუმცა...

სრული რეაბილიტაცია იგეგმებოდა, მაგრამ ისეთი სრულიად ახალი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიგეგმა, რაც ვფიქრობ, რომ ამ ადგილს ეს საერთოდ არ სჭირდება. რეაბილიტაციის თანხა უაზროდ გაიზარდა, რამაც გამოიწვია ის, რომ პროექტს მთლიანად თავი დაანებეს. ამის დახვეწა შესაძლებელია. უნდა ამოვარდეს ზედმეტი, ძვირადღირებული დეტალები, გაურკვეველი ორნამენტები და ორღობის მოწყობა, ამ ადგილისთვის ვფიქრობ, რომ ზედმეტია. ამის გარეშეც შესანიშნავი ადგილია და პირველადი იერსახე შენარჩუნებული უნდა იყოს. ის ძირითადი სადრენაჟე სისტემა, სახლმუზეუმის აღდგენა და ძირეული სამუშაოები უნდა ჩატარდეს. მთლიანად ეს სამუშაოები რა თანხას აღწევს ვერ გეტყვით. სასტუმროს აუცილებლობა მირზაანში როგორც კი გაჩნდება, კერძო სექტორი ამას ავტომატურად უზრუნველყოფს. მთავარია ფიროსმანის ეზოში იყოს სველი წერტილები, სუვენირების მაღაზია, გიდების მომსახურება, მათ შორის უცხოენოვანი, საინფორმაციო ცენტრი. ასევე კაფე, რომელიც დამატებითი შემოსავალი იქნება მუზეუმისთვის. მე და მსოფლიო ბანკის იურისტები ვფიქრობთ, რომ მუზეუმებს უნდა ჰქონდეთ მმართველობის სრული დამოუკიდებლობა, რაც უკეთესად განვითარების საშუალებას მისცემს. მიგვაჩნია, რომ მუზეუმებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი უნდა ჰქონდეს,“ - აღნიშნავს აბესაძე.

როგორც ნიკო ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შეხვედრის ჩატარება თელავში იგეგმებოდა, თუმცა სოფელ მირზაანის გამოსაცოცხლებლად და მუზეუმის ცნობადობის კიდევ უფრო ასამაღლებლად შეხვედრის მუზეუმში გადმოტანის შეთავაზება გააკეთა, რაზეც პროექტის ავტორები სიამოვნებით დათანხმდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ხოხობი – ქვეყნის სიმბოლო

აშშ-ს ერთ-ერთ შტატში ძეგლი დაუდგეს მტრედს. ძეგლს, როგორც წესი, ადამიანი გარდაცვლილებს უდგამს. ამ შემთხვევაშიც ასე იყო — ჯერ გაანადგურეს, ამოხოცეს მილიონობით ველური მტრედი, და მერე ძეგლი დაუდგეს, თითქოს ცოდვის გამოსასყიდად...

თუ მტრედი ამერიკის სიმბოლოდ იქცა, წერო - იაპონიის, ფარშევანგი — ინდოეთის, საქართველოს ნაციონალური ფრინველი უდავოდ ხოხობია. — ასეთია მისი სამეცნიერო დასახელება, რომელიც ძველმა ბერძნებმა შეარქვეს, მას შემდეგ რაც ეს ფრინველი საქართველოში პირველად იხილეს.

ყველა ქართველმა კარგად იცის, რომ ამ ფრინველთანაა დაკავშირებული თვით საქართველოს დედაქალაქის თბილისის წარმოშობის ლაგენდაც. ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის— ქართველებისათვის, უმოწყალოდ, მეთოდურად გაგვენადგურებინა ეს ულამაზესი ფრინველი ინტენსიური ნადირობით, ბრაკონიერობით და ხოხბის საბინადრო გარემოს ათვისებით. გასული საუკუნის მანძილზე, ჯერ კიდევ 1920-30 იან წლებში აღმოსავლეთ

საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ, ხოხობი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. მოხუცებს დღესაც ახსოვთ, რომ ეს პოპულაცია იმდენი იყო, რომ სამეგრელოს მდინარეების პირა სოფლებში ისინი ღამით ეზოებში აკაციის ხეებზე სხდებოდნენ, შინაური ქათმების გვერდით.

დღეს ხოხბის მცირე პოპულაცია შენარჩუნებულია და უკვე ზრდაც კი დაიწყო ივრის ჭალაში, ვაშლოვანში,შავი მთის ტერიტორიაზე, მილარში. მისასალმებელია “კოლხური ხოხბის საშენი ცენტრის” შექმნა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის პარტნიორული პროექტის ფარგლებში.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სხვა ენდემური ჯიშის ცხოველის , ფრინველისა თუ მცენარის დაცვა-გამრავლებას ნაკლები ყურადღება მიექცეს და პრიორიტეტული მხოლოდ კოლხური ხოხბის აღდგენა გავხადოთ, მაგრამ ამ სახეობის აღდგენის საქმეში აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა. მხოლოდ თბილისის გერბზე მისი გამოსახვა საკმარისი არ არის.

ამასობაში თბილისელ მონადირეებს შორის გავრცელდა ხმები, რომ დედაქალაქელებისათვის წარსულში ასე პოპულარულ ბოტანიკურ ბაღში ვიღაცას ხოხობი უნახავს. ეს ახალი ლეგენდაა, თუ სურვილი დავუბრუნოთ თბილისს ხოხობი? ვინ იცის. თუმცა, ყველაფერი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია. მითუმეტეს, რომ ასეთი ლეგენდა დიდი ხანია არსებობს.

მიხეილ მღებრიშვილი

დედოფლისწყაროდან - ლონდონამდე

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე სოფიო მენთეშაშვილი ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა „ბაქსვუდი“-ს შემდეგ ლონდონის საზაფხულო სკოლაში გააგრძელებს სწავლას. თუ რა საფეხურების გავლა მოუწია მას ამ სკოლაში მოსახვედრად, ამის შესახებ ის თავად გვესაუბრება:

— „ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში ქართული ენისა და ლიტერატურის ტურში მივიღე მონაწილეობა. ოლიმპიადის დაწყებამდე მონაწილე ბავშვებს დაგვირიგეს ანკეტები, რომლებიც ინგლისურ ენაზე უნდა შეგვევსო. მეც მათ შორის ვიყავი. ვერ გეტყვით, რა კრიტერიუმით მოხდა ბავშვების შერჩევა, მაგრამ მე წყნეთის საზაფხულო ბანაკში სამი ხალისიანი და ნაყოფიერი კვირა გავატარე.პირველ ნაკადში 150 ბავშვი ვიყავით, გვყავდნენ უცხოელი ლიდერები და ქართველი პედაგოგები. ყველანი ინგლისურ ენაზე ვურთიერთობდით, ტარდებოდა ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა კონკურსები. ე. წ. ტალანტ—შოუც გაიმართა, სადაც თითოეულმა ჩვენგანმა თავისი შესაძლებლობები გამოავლინა. ბავშვებს შორის იყო ჯანსაღი კონკურენცია.

—მაინც რა მოგცა „ბაქსვუდის“ საზაფხულო სკოლაში გატარებულმა სამმა კვირამ?—ვეკითხები. „გარდა იმისა, რომ საზაფხულო სკოლაში გატარებული დღეები ინგლისური ენის გაღრმავებაში დამეხმარა, აქ შევიძინე უამრავი მეგობარი, და კიდევ, როდესაც ხედავ, რომ ღირსეული კონკურენტები გყავს, ეს საკუთარი თავისადმი და შესაძლებლობებისადმი რწმენის განმტკიცებაში გეხმარება“ — მეუბნება სოფიო მენთეშაშვილი, რომელიც სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა.

სწორედ სოფოს ნიჭიერებამ და კარგმა ადამიანობამ განაპირობა მისი გამარჯვება. საზაფხულო სკოლის უცხოელი ლიდერები მთელი ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ ბავშვებს, აფასებდნენ როგორც ინგლისური ენის ცოდნის დონეს, ასევე მათ პიროვნულ თვისებებსაც. ბოლოს გადაწყვეტილებაც მიიღეს — 150 ბავშვიდან სოფო იმ 8 მოსწავლეს შორის მოხვდა, რომელთაც ლონდონის საზაფხულო ბანაკის საგზურები ხვდათ წილად. სოფო ლონდონში 5 აგვისტოს გაემგზავრება. წარმატებებს და ზურგის ქარს ვუსურვებთ მას.

ინგა შიოლაშვილი

ჩვენი დოსიე:

საზაფხულო სკოლა „ბაქსვუდის“ პროგრამის ღონისძიებათა ნაწილი სპეციალურად იქნა შემუშავებული, რათა მოსწავლეებმა ისწავლონ ერთად მუშაობა სხვადასხვა ჯგუფებში ან ერთ გუნდში.გუნდური მუშაობა, ერთმანეთისგან სწავლა და გართობა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და სად შეიძლება ყოველივე ამის განცდა, თუ არა საზაფხულო ბანაკებში?!

დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული ლიდერები მოზარდებს რამდენიმე კვირის განმავლობაში ასწავლიან არა მარტო ინგლისურ ენას, დიდი ბრიტანეთის ისტორიას, კულტურას, არამედ მათთან ერთად აწყობენ ექსკურსიებს, ებმებიან სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ თამაშებში ...

ცოდნა და შრომისმოყვარეობა - წარმატების საწინდარი

კვირა დღე იყო. ტელეფონზე ნაცნობმა ქალბატონმა დამირეკა და მთხოვა, დღეს სერონა მასწავლებელს 88 წელი უსრულდება, იქნებ მობრძანდეთ და თქვენს რუბრიკაში „პორტრეტები“ მის შესახებ მკითხველს მოუყვეთო. შევწუხდი, რადგან მეც სტუმრები მყავდა და ბოდიში მოვუხადე, ზემო მაჩხაანში წამოსვლა არ შემიძლიამეთქი. თანაც, უკვე შუადღე იყო და ტრანსპორტიც არ მქონდა. მერე რომ დავფიქრდი, უკეთესი იდეა გამიჩნდა: რატომ მხოლოდ სერონა მასწავლებელი, განა მისმა დებმა — ნინომ და იზოლდამ ნაკლებად საინტერესო გზა განვლეს?! იმ დროს, როცა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მიღებაზე ნაკლებ ორიენტირებული იყო, ერთი ოჯახის სამმა ქალიშვილმა წარჩინებით ისწავლა, საუკეთესო სპეციალისტებიც გამოვიდნენ და ცხოვრების საინტერესო გზაც გაიარეს.

ხუთი ქალიშვილი ეყოლათ ზემომაჩხაანელ სტეფანე (სტეპკო) ბოსტოღანაშვილს და ჯუგაანელ ანა მატიაშვილს, მაგრამ მაშინდელი დაბალი სოციალური პირობების გამო, ერთი გოგონა ჩვილობაშივე გარდაეცვალათ, მეორემ კი — ოთხი წლის ზინამ შემთხვევით ჩაიდნიდან მდუღარე წყალი მოსვა და... მაშინ ზემო მაჩხაანს ექიმი არ ჰყავდა, ვიდრე გოგონა ქვემო მაჩხაანში ჩაიყვანეს, ვიდრე ექიმი მოიძიეს,უკვე დაგვიანებული იყო. ცოლ-ქმარი შრომობდა, თავს არ ზოგავდა, რომ შვილებს ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონოდათ. სტეფანე კოლმეურნეობაში მეცხვარეობის იმ ბრიგადას ხელმძღვანელობდა, რომელშიც მოსახლეობის კერძო ცხვარი იყო გაერთიანებული დიახ, მაშინ კერძო საკუთრების ასეთი „მოსახერხებელი“ ფორმაც არსებობდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ყველაფერი უნდა სცოდნოდა! კარგი მეცხვარე და მცნობი იყო ბრიგადის სარქალიათას ცხვარში გამოიცნობდა, რომელი ბატკანი რომელ დედა ცხვარს დაეძებდა. შრომობდნენ და შვილების უკეთეს მომავალზე ოცნებობდნენ. არც გოგოები უცრუებდნენ იმედს. ნიჭიერებასთან ერთად შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდნენ, სამივე საუკეთესო მოსწავლე იყო. თუმცა, მოდით, მივყვეთ თითოეულის ცხოვრებას ცალ- ცალკე.

სერონა უფროსი ქალიშვილი გახლდათ. სახელი ბიცოლამ შეურჩია და მთელი ცხოვრება ემდუროდა, თავის შვილს ქეთევანი დაარქვა და რაღა მე მიწოდა სერონაო. არადა, სახელს არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარია, როგორ სახელს მოიპოვებ ცხოვრებაში. სერონამ კი კარგი ქალის, კარგი ადამიანის და კარგი სპეციალისტის სახელით იცხოვრა 88 წელი. არასრული საშუალო სკოლა ქვემო მაჩხაანში წარჩინებით დაამთავრა და სწავლა გააგრძელა სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის სახელიც ქუხდა რესპუბლიკაში. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებსაც სიამოვნებით იღებდნენ უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტებში. ყველა საგანს საუკეთესოდ სწავლობდა, მაგრამ მათემატიკა მაინც ძალიან უყვარდა და ეხერხებოდა კიდეც .ამიტომაც, მათემატიკის ლექტორმა ხელი მოკიდა და უნივერსიტეტში წაიყვანა. იქაც „აცნობა თავი“ სულყველას, ფაკულტეტის დეკანი, შემდგომში უნივერსიტეტის რექტორი და ცნობილი მეცნიერი, ილია ვეკუა, აღტაცებული იყო მისი შესაძლებლობებით და აფასებდა კიდეც. 1946 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი და 22 წლის ახალგაზრდა, რომელსაც სამეცნიერო კარიერისთვის ყველა პირობა ჰქონდა, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ამ დროს ზემო მაჩხაანს უკვე ჰქონდა საშუალო სკოლა და სერონამ მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მერე საქმემ მოიტანა და ჯერ ქვემო მაჩხაანში, მერე კი წნორის N3 საშუალო სკოლაში, ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, მერე კი დირექტორად. საუკეთესო პედაგოგის და ორგანიზატორის სახელი ჰქონდა სერონა მასწავლებელს, მისი ხათრი და პატივისცემა ჰქონდა თითოეულ მასწავლებელსა თუ მოსწავლეს, მის სიტყვას დიდი ფასი განათლების განყოფილებასა თუ სამინისტროში, არ ივიწყებდნენ მისი თაობის მეცნიერ - მათემატიკოსები. სერონა მთელი არსებით იყო ჩართული შრომაში. მათემატიკასთან ერთად ქალის ხელსაქმეც - ქარგვა, ქსოვა და კერვა კარგად გამოსდიოდა. ჯერ კიდევ პატარა იყო, მეზობლების და ახლობლების ბავშვებს და მოხუცებს ტანსაცმელს და თეთრეულს რომ უკერავდა და წინდებს უქსოვდა (მაშინ სად იყო ამდენი მზა ტანსაცმელი, თითი - ოროლა მეტრი ფართალის საყიდლად ხალხი დღიდან - დღემდე იდგა რიგში). სულ მუდამ სხვებზე მოფიქრალსა და მზრუნველს თავისი პირადი ცხოვრება არც კი ახსოვდა, თანაც წუნია იყო და... წლები კი მიდიოდა. მაგრამ ბედისწერა ისეთი რამ არის, სასწაულებს ახდენს. ომიდან მობრუნებულ თანასოფლელ გიორგი ნატროშვილს გული შეუუვარდა სერონაზე, მაგრამ ამაოდ, ქალი გათხოვებას სულ არ აპირებდა. მერე გიორგიმ ოჯახი შექმნა, ავტოინჟინერი გახლდათ და ბათუმში მუშაობდა. ქალ-ვაჟი შეეძინა. ღირსეული ოჯახი ჰქონდა. კარგი განათლება მისცა შვილებს. პაპის მოსახელე ვაჟი ამჟამად სანკტპეტერბურგში ცხოვრობს, ერთი ვაჟი ჰყავს, ქალიშვილი კი ექიმია, ჩოხატაურშია გათხოვილი და ექვსი შვილის დედაა. ათეული წლები ტკბილად ცხოვრობდა გიორგი მეუღლესთან ერთად, მაგრამ სიკვდილს წინ ვერავინ დაუდგება და დაქვრივებული გიორგი სოფელს დაუბრუნდა. ძველმა გარემომ ძველი, მიძინებული გრძნობები გააღვიძა, მინავლული სიყვარული გააღვივა, (სიყვარული ხომ არ ბერდება!) მერე კი სოფელში ხმა გავარდა: - „ სერონა მოიტაცესო!“. არა, გიორგიმ კი არა, მისმა შვილებმა მამას სურვილი აუსრულეს. მშვენივრად შეეწყნენ ერთმანეთს, „ მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?! „ და მათი ჰარმონიული ცხოვრება ისევ სიკვდილმა დაანგრია. გიორგის გარდაცვალების შემდეგ სერონამ კარგა ხანს უერთგულა მის კერას, შვილებთან ურთიერთობაშიც არაფერი შეცვლილა, მაგრამ მშობლიური სახლ-კარიც პატრონს საჭიროებდა და სერონაც მამისეულ სახლში დაბრუნდა მუდმივ საცხოვრებლად, თუმცა, გიორგის ბინასაც მიხედავს ხოლმე. ასაკის მიუხედავად ის მხნედ არის, თავის ეზო-გარემოში ფუსფუსებს, თავის თავს უვლის, სხვებს არ აწუხებს და ღმერთს იმას ევედრება (როგორც ყველა ადამიანი), სხვის ხელში შემხედვარე ნუ გახდება, ისე გადავიდეს მარადიულ სოფელში.

ნინო, იგივე ნუცა ბოსტოღანაშვილი თავისი მშობლების მეორე ქალიშვილი გახლავთ. იგი 1928 წლის იანვარში დაიბადა. 7 კლასის დამთავრების შემდეგ მანაც სიღნაღის პედსასწავლებელს მიაშურა. უფროსი დის სახელი და დამსახურება არ შეურცხვენია. საუკეთესოდ სწავლობდა. — ყველაზე დიდი როლი ჩემს ცოდნასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში ამ სასწავლებელმა ითამაშა, ძალიან ძლიერი პედაგოგები გვყავდნენ, დირექტორი წერეთელი ხომ შეუდარებელი იყო. აქ არამარტო ცოდნას, არამედ ადამიანურ ურთიერთობებსაც გვასწავლიდნენო, – გვეუბნება. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დედის დაჟინებული თხოვნით, სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. გამსვლელი ქულები კი მოაგროვა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, ქვეყანა ექიმი მამაკაცების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ, ამ ქულებით მხოლოდ ვაჟები ჩარიცხეს, გოგონები კი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადაანაწილეს. ასე მოხვდა ის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1950 წელს. ტიბაანის საშუალო სკოლაში გაანანილეს. 16 წელი იმუშავა, აქედან 14 წელი დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო სააღმზრდელო დარგში. მერე, როცა წითელწყაროს ჯერ შეუერთეს და 1966 წელს ისევ გამოყვეს სიღნაღის რაიონიდან, ნინომ მშობლიურ რაიონში გადმოყვანა ითხოვა. მისი დიდი უარის და წინააღმდეგობის მიუხედავად, მაშინდელმა რაიკომის მდივანმა ამირან გონაშვილმა ზემო ქედის სკოლის დირექტორად გაგზავნა დავალებით: სკოლა ფეხზე დააყენეო! 3 წელი იმუშავა, ბევრი რამ გააკეთა, შრომის კაბინეტი მოაწყო, წყალი შეიყვანა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაამდიდრა, დისციპლინა განამტკიცა... მესერის შემოვლება დავიწყე, ცოტა დამრჩა, ვერ დავამთავრე და დღესაც ისევ ისე არის დარჩენილიო, - სიცილით ამბობს. მერე საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელ მდივნად გადმოიყვანეს რაიკომში. მალევე რაიკომის აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების გამგედ დააწინაურეს.

- არასოდეს ვყოფილვარ განდიდების მანიით შებყრობილი და თანამდებობის მაძიებელი, ჩემი პროფესიით მუშაობა და სიმშვიდე მერჩია, არ მიყვარდა ადმინისტრაციული ურთიერთობები, ვიღაცის დასჯა-დაშინება, თვალში თითის დაჭერა, მაგრამ საქმეში უკომპრომისო ვიყავ, ვერ ვიტანდი უდისციპლინობასა და უპასუხისმგებლობას, სიმართლის პირში თქმას არ ვერიდებოდი, არ მეშინოდა ადგილის დაკარგვის, ამიტომ მკაცრი ხელმძღვანელის იმიჯი ჩამომიყალიბდა. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, იქნებ, სწორედ ამიტომაც გადამიყვანეს განათლების განყოფილების გამგედ. განათლების სისტემა რთული და ფაქიზი სამუშაოა. საქმეც ბევრი იყო როგორც სკოლებში, ასევე საბავშვო ბაღებსა და ბაღებში. კოლმეურნეობები სოფლებში ძალიან გვედგნენ მხარში. როცა რაიმე საქმის ჩვენს

(გაგრძელება გვ.6)

ცოდნა და შრომისმოყვარეობა - წარმატების საწინდარი

(დასასრული)

სასარგებლოდ დამთავრება მეეჭვებოდა, ჩვენს სახელოვან თავმჯდომარეებს: ნიკო მამაიაშვილს, არსენ კობაიძეს, ნიკო ყოჩიაშვილს, ვანო ფიროსნმანაშვილს სოციალისტური შრომის გმირის ორდენს მკერდზე დავკიდებდი და როგორც ავტორიტეტებს, თან წავიყვანდი - ხოლმე სამინისტროებში. აი, მაშინ გამოუსვლელი საქმე უკვე აღარ არსებობდა. ასე გავაფართოვეთ სკოლის შენობები, ავაშენეთ ახალი საბავშვო ბაღების ტიპიური შენობები, შევუძინეთ ბაღებს პიანინოები, დგამ-ავეჯი, შემეცნებითი თუ გასართობი სათამაშოები და ვინ მოთვლის, უამრავი რამ, - იხსენებს ქალბატონი ნინო იმ „ უძრაობის“ ხანას.

ხუთი წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე, მერე არბოშიკის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. სკოლა, ფაქტიურად, დანგრეული იყო. პირველ რიგში ამ პრობლემას უნდა შეჭიდებოდა. შეადგინა სკოლის ტექნიკური დოკუმენტაცია, სამუშაო გეგმა და როცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ჭითანავა რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს ხვდებოდა, წერილი მისწერა, მომეხმარეთ სამინისტროში გეგმის დამტკიცებაშიო. გაუმართლა. სკოლის არსებული ნაწილი გაარემონტეს და ახალი კორპუსიც მიაშენეს. ხუთი წელიც ამ სკოლის აწყობას შეალია, მერე პედაგოგად გადავიდა. პენსიის დანიშვნასთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობაც მოვიდა და რთული, გარდამავალი წლები დაიწყო.

იმ მძიმე პერიოდში არ მეთაკილებოდა თოხით და ბარით ხელში, ფეხით წავსულიყავ ქალაქგარეთ, ნათხოვარ მიწაზე მომეყვანა ჩემი სამყოფი კარტოფილი თუ ლობიო, ნიორი თუ ხახვი, ბოსტნეული და მწვანილი და არავისთვის შემეხედა ხელებში. ვშრომობდი და წლის სარჩო მუდამ მქონდა. როგორც მარტოხელას, შემწეობა მქონდა დანიშნული, მაგრამ იმის გამო, რომ, შავ-თეთრი ტელევიზორი ახლობლის დახმარებით ფერადით შევცვალე, ის შემწეობა მომიხსნეს. ხომ არის ეს უსამართლობა? ჰოდა, პირფერობა და მლიქვნელობა რომ არ შემიძლია, სიმართლეს რომ ვამბობ და ჩემს აზრებს შეულამაზებლად გადმოვცემ, „ზვიადისტიც“ კი შემარქვეს. რა შუაშია ზვიადისტობა, მე ზვიადის დადებითსაც კარგად ვხედავდი და უარყოფითსაც. მე და ლანა ღოღობერიძე ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში, მაგრამ, როცა ლანამ უკადრებელი რამეები იკადრა, საზოგადოების მისამართით უბოდიშოდ ვაკრიტიკებდი და არ მოვრიდებივარ. სიმართლის თქმა ჩემში „ აუღებელი სიმაგრეა“, სხვანაირად არ შემიძლია, თუმცა, ძალიან კარგად ვიცი, რომ „ ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — გულახდილად ახასიათებს თავის თავს ნინო მასწავლებელი.

მერე ფასიანი სკოლა „ბენაური გაიხსნა” და დირექტორმა ცაცა ბენაშვილმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მიგიწვიათ. ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება სახელმწიფო სკოლაში გაატარეთ, როგორ შეეგუეთ კერძო სტრუქტურას?

- არა, სულაც არ გამჭირვებია. მთავარია, საგანი იცოდე საფუძვლიანად, რომ მოსწავლე დაინტერესო. მე მივხვდი, რომ მომავალი კერძო სკოლისაა. როცა კლასში რამდენიმე ბაშვი გიზის (კანონით 14-ზე მეტი არ შეიძლება), შენც მობილიზებული ხარ და ბავშვიც, ის უკეთეს ცოდნას იძენს და რეპეტიტორიც აღარ სჭირდება. რეპეტიტორობის წინააღმდეგ ბრძოლის გზა სწორედ კერძო სკოლების მომრავლებაა, მაგრამ ცხოვრების დღევანდელი დაბალი სოციალური ფონი ხელს უშლის მის განვითარებას. აქვე არ შემიძლია არ შევეხო მშობლის პასუხისმგებლობის საკითხს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მშობელი როგორ კონტროლს ახორციელებს ბავშვის სასწავლო პროცესზე და დღის რეჟიმზე. დღეს მშობლებში ეს პასუხისმგებლობა მოისუსტებს. ცუდი არ იყო, საბჭოთა სკოლას ბავშვის აღზრდა-განვითარების სამკუთხედი რომ ჰქონდა-მასწავლებელი, მშობელი, საზოგადოება. ახლა ამას ეკლესია და მანდატურიც შეიძლება დავუმატოთ. ყველამ ერთად უნდა იმუშაოს მოსწავლის ნებისყოფის, მტკიცე ზნეობრივი თვისებების ჩამოსაყალიბებლად და ცოდნის მაღალი დონის მისაღწევად.

- მანდატური ახსენეთ, ეს საბჭოთა სკოლისგან სრულიად განსხვავებული რეჟიმია. როგორ ფიქრობთ, საჭირო და დღეს სკოლაში მანდატური?

- იყო დრო, როცა სკოლის ეზოში შესულ მასწავლებელს რიგში ჩამდგარი ბავშვები, დიდებიც და პატარებიც, მოკრძალებით ესალმებოდნენ. ვინ გადაუსწრებდა მასწავლებელს, სკოლის დერეფანში დირექტორის გამოჩენაზე ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა, მორიგე მასწავლებელი სრულ წესრიგს ამყარებდა სკოლის შენობაშიც და ეზოშიც, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა, ახლა სულ სხვა თაობები მოვიდნენ, სხვა მენტალიტეტით, სხვა სილაღით, სხვა დისციპლინით. მაშინ, როცა სკოლებში გარჩევები იარაღის გამოყენებით ხდება, სამეთვალყურეო კამერაც და მანდატურიც, ნამდვილად საჭიროა, მაგრამ მანდატური არ უნდა იყოს ცალკე მოთვალთვალე თვალი ყველასი და ყველაფრის, ის, ყველასთან ერთად, უნდა იბრძოდეს სკოლაში წესრიგის დასამყარებლად, კონკრეტული ღონისძიების გასატარებლად. ასე აუცილებლად მიიღწევა შედეგი სწავლაშიც და ქცევაშიც. საბჭოთა სკოლაში ყოფაქცევა ცალკე ნიშნით ფასდებოდა, რასაც შედეგი მოჰქონდა. ყოფაქცევაში ფრიადზე დაბალი ნიშნის შემთხვევაში კლასიდან კლასში ვერ გადავიდოდა ბავშვი. ბევრი კარგი რამ ჰქონდა საბჭოთა სკოლას, მაგრამ შემდეგ საყოველთაო საშუალო განათლების სავალდებულოებამ, კლასში დაურჩენლობის მოთხოვნამ,ცუდი ზეგავლენა მოახდინა სისტემაზე.

- რა აზრის ბრძანდებით პრეზიდენტის ინიციატივაზე უმაღლეს სასწავლებლებში საატესტატო ნიშნების მიხედვით ჩარიცხვის თაობაზე?

- ჩემი აზრით, პრეზიდენტი ყველა დარგში სიღრმისეულად ვერ იქნება ჩახედული და არც უნდა იყოს. მისი სურვილი, ოჯახებს რეპეტიტორების ტვირთი მოხსნას, მისასალმებელია, მაგრამ, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ეს რეპეტიტორობას ვერ შეამცირებს. როცა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები დაინიშნა, გაიზარდა რეპეტიტორთა რიცხვი, ახლა ეს ინიციატივა უფრო გაზრდის მათ რიცხვს. მე მიმაჩნია, რომ მასწავლებელთა გადამზადებას, მათი ცოდნის რეალურ ამაღლებას, სწავლების ხარისხის გაზრდას და კონტროლს, სწავლების მეთოდიკის დახვენას, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებას უფრო მოჰყვება შედეგები. მაგალითისათვის გეტყვით, რომ ახლა ყველა საგანში შემოღებულია ტესტირება, რომელსაც ორი ფორმა აქვს. ერთი, როცა ბავშვი თავად წერს პასუხს და, მეორე, როცა მითითებული სავარაუდო პასუხებიდან არჩევს სწორ ვარიანტს. ამ უკანასკნელს შემთხვევითობის მომენტი თან ახლავს, უცოდინარმაც შეიძლება მექანიკურად სწორი პასუხი შემოხაზოს. ამიტომ ეს ჩემთვის მიუღებელია.

- როგორ შეაფასებთ დღევანდელ თაობას, მათი განვითარების დონეს?

- კომპიუტერმა წიგნი რომ ჩაანაცვლა, ეს არ მომწონს. წიგნი მაინც სულ სხვა ფენომენია, რომლის რაიმეთი შეცვლა, შეუძლებელია. განათლებული ადამიანისათვის ორივე საჭიროა, რადგან წიგნი ლოგიკური აზროვნების უნარს ლესავს, კომპიუტერი კი ინფორმაციის ზღვა მასალას იძლევა. დღევანდელი თაობა თანდათან უფრო პრაგმატული ხდება. როცა ხედავენ, რომ მათი ორდიპლომიანი მშობლები თუ ახლობლები უმუშევრები არიან, ირჩევენ იმ გზას, რაც მათ ცხოვრების სირთულეების გადალახვაში დაეხმარებათ და პრაქტიკულად გამოიყენებენ. დიპლომი თავმოწონებისათვის თანდათან ძალას კარგავს. აი, ასეთი თაობა მოდის და ჩვენს ქვეყანას ასეთი მომავალი სჭირდება.

- ალბათ, გყავთ ადამიანი, რომელიც ეტალონია თქვენთვის?

- დიახ, ეს გახლავთ აწ განსვენებული ვარლამ თოფურია,აკადემიკოსი, რომლის მსგავსი მეცნიერი და პედაგოგი არ შემხვედრია.

- მოსწავლე?

- უამრავ საუკეთესო მოსწავლეს გაუვლია ჩემს ხელში, რომლებიც შემდეგ კარგი მეცნიერები ან კარგი ხელმძღვანელები და ორგანიზატორები გამოსულან, მაგრამ არ მავიწყდება ლევან დოლმაზაშვილი,რომელიც ერთ-ერთი დიდი მეურნეობის დირექტორი იყო შემდგომში, შემდეგ კი - პარლამენტარი. ის მხოლოდ მოსმენით იმახსოვრებდა ყველაფერს, გულდასმით უსმენდა მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც და რაც გინდა გეკითხა, სწორი პასუხი მზად ჰქონდა. არასოდეს სწერდა თემას სახლში. ეს ვიცოდი და არც ვაწუხებდი, ჩემთვის მთავარი შედეგი იყო. ერთხელაც, ხელი აიწია, თემა წამაკითხეო. გავოცდი და ავაყენე. ხელში რვეული ეჭირა და კითხულობდა სხაპასხუპით, შეუფერხებლად და შეუცდომლად.. როცა ვნახე, რვეული ცარიელი იყო და ის ზეპირად ჰყვებოდა ყველაფერს.

- ოჯახი რომ არ შექმნით, სიმარტოვის არ გეშინიათ?

- საერთოდ, სიწყნარე და სიმშვიდე მიყვარს, მაგრამ ადვილია სიმარტოვე მეთქი, ვერ ვიტყვი.სიკვდილზე ადრე არ ვფიქრობდი, ამ ბოლო დროს მომეძალა ეს ფიქრები, მაგრამ ასაკთან ერთად ეს ფიქრები მოვიდოდა მარტოხელასთანაც და ქმარ-შვილიანობის დროსაც. ასე, რომ დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. ყველაფერი კი ისე იქნება, როგორც გიწერია.

ნინო ბოსტოლანაშვილი 84 წლის ასაკში კვლავ პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებს ფასიან სკოლა „ბენაურში“.

- ნინო მასწავლებელი ბევრ ახალგაზრდა მასწავლებელზე საინტერესო გაკვეთილებს ატარებს, მას თანამედროვეობის მაჯაზე ხელი უდევს და ყველა სიახლეს ადვილად ითვისებს, ასაკის მიუხედავად, არის ენერგიული, შრომისუნარიანი, პუნქტუალური, დისციპლინირებული - ასე ახასიათებს სკოლის მენეჯერი ლალი აზარიაშვილი ქალბატონ ნინოს.

მესამე ქალიშვილი **იზოლდა ბოსტოღანაშვილების** ოჯახში 1932 წელს დაიბადა. დაამთავრა ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა. ოქროს მედლის კანდიდატს ქართულ წერაში ერთი შეცდომის გამო სამინისტრომ მედალი დააკარგვინა. ეს შეცდომა დღემდე ახსოვს. მგზავრის წერილებს მიმოიხილავდა და ფრაზაში „ილიას მიიღებდა სამშობლო, რადგან მისი სისხლი და ხორცი ედგაო“, თქვა „იყოს“ მაგიერ და ორივე მედალი დაკარგა — ოქროსიც და ვერცხლისაც, რადგან თუ ქართულ წერაში მიიღებდი ფრიადზე ნაკლებს, არანაირ ჯილდოს აღარ გაძლევდნენ. ასეთ მაღალ დონეზე იდგა ქართული ენის სწავლება და მისი როლი მაშინ, უძრაობის და შავბნელ პერიოდში! დედის ოცნებას ოჯახში რომელიმე ქალიშვილი ექიმი გამოსულიყო, იზოლდამ შეასხა ფრთები. პირველივე წელს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, წარმატებით დაამთავრა და, როცა განაწილებით გროზნოს ერთ-ერთ სანავთობო უბანზე მოხვდა, წასვლა ვერ გაბედა. აქაც სწორედ ეს გახდა მიზეზი წითელი დიპლომის დაკარგვისა.

გროზნოში წასვლიდან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალი გათხოვება იყო და ბედმაც არ დააყოვნა. მკერავთან „პრიმერკაზე“ მყოფი ტანწერწეტა და ლამაზი ქალიშვილი თვალში მოუვიდა ოჯახში სტუმრად მყოფ ქვემოქედელ ვანო ხუმარაშვილს და აღარც დაუნებია თავი. ქედში გათხოვებას რა მაფიქრებინებდაო,—იცინის იზოლდა. მაშინ ვანო კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო, იზოლდამაც სოფლის ამბულატორიაში უბნის გამგედ დაიწყო მუშაობა. მერე ვანო რაიონში ცხოველთა სასაკლაოს გამგედ გადმოიყვანეს, სწორედ მან ააშენა ის უზარმაზარი ხორცკომბინატი გამარჯვებაში, რომელიც ჩვენ „თავისუფლების ეგიდით“ აგურ-აგურ დავანგრიეთ და ნამარ ადგილს დავამსგავსეთ. ოჯახიც რაიონში გადმოვიდა საცხოვრებლად. იზოლდამ პოლიკლინიკაში უბნის თერაპევტად დაიწყო მუშაობა და 40 წელი ემსახურა ჩვენი ხალხის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ბევრი უძილო ღამე ახსოვს, ბევრი შერკინება სიკვდილთან, გამარჯვებაც და მარცხით გამოწვეული ტკივილიც. ახლაც „უბნის ექიმია“, ვისაც რა გაუჭირდება, მის კარზე დგას, ისიც თავის ცოდნას და გამოცდილებას უშურველად ახმარს მეზობლებს, ნაცნობ-მეგობრებს. ოჯახის მართვაში ეხმარება შვილსა და რძალს.

- იმდენი მახსოვს მათემატიკასა და სხვა საგნებშიც, რომ ჩემს მეცხრეკლასელ შვილისშვილს ანას საჭიროებისას ვეხმარები ხოლმე. მაია მუშაობს, პაატაც დაკავებულია, მე კი ყველანაირად ვცდილობ, მხარში დავუდგე მათ.

პაატა ხუმარაშვილს, დღეს უკვე მამა პეტრეს, მთელი რაიონი იცნობს, როგორც წესიერ, პატიოსან, გაწონასწორებულ და განათლებულ პიროვნებას. იგი 1957 წელს დაიბადა, დაამთავრა ნითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა, მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი, მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური და მუშაობა დაიწყო ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში მეცნიერ მუშაკად. მერე ნაკრძალის და სატყეო მეურნეობის გაერთიანებული დირექტორი იყო ათეული წლების განმავლობაში, ბევრი რამ გაკეთდა მისი ხელით როგორც ნაკრძალის ტერიტორიაზე, ისე ოფისში. თანამედროვე იერ-სახე მიეცა ყველაფერს, აშენდა ბუნგალოები, გაიხსნა ახალი სამარშრუტო პუნქტები და ბევრი სხვა რამ, ეს კი სულ პაატა ხუმრაშვილის და მისი გუნდის შრომის ნაყოფია, მაგრამ მოხდა ისე, რომ პაატამ სასულიერო ცხოვრება აირჩია, ის დღეს ქ.დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლის მღვდელია. უყვარს თავის მრევლს კეთილშობილი და განსწავლული მოძღვარი. არც აქ აკლებს თავის ხელს მამა პეტრე სასიკეთო საქმეებს – სამლოცველო სახლის შეკეთება აქვს გადაწყვეტილი და ამისათვის სახსრების მოძიებას იწყებს.

იზოლდას ქალიშვილი მაია 1961 წელს დაიბადა, ნითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და დედის კვალს გაჰყვა – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ნითელწყაროს სისხლის გადასხმის კაბინეტის გამგედ მუშაობდა. მერე ოჯახი შექმნა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, რადგან მეუღლე იქ მუშაობდა. ორი ვაჟი ჰყავს — გიორგი და ნიკოლოზი. მათ შორის ერთი დაქორწინებულია და მაია პატარა მარიამის ბებია გახლავთ.

იზოლდა ექიმის ოჯახი უფლის რწმენით და წყალობით ცხოვრობს. ისინი სამაგალითონი არიან საზოგადოებისათვის.

საერთოდ კი სამივე დას ძალიან უყვარს ერთმანეთი, ზრუნავენ და აგრძელებენ ოჯახის ტრადიციას, სადაც ურთიერთსიყვარული იყო ყველაფრის გვირგვინი. მათ, სამივემ ცხოვრების საინტერესო გზა გაიარა და მოიპოვა ავტორიტეტი, რომლის ფასიც არანაირი მატერიალური ქონება არ არის.

ნაირა გორაშვილი

წინასწარმეტყველი ელია თეზბიტელი

2 აგვისტო დედოფლისწყაროელი მრევლისთვის განსაკუთრებული დღეა. ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს ყველა უდიდესი სიხარულით ხვდება.

წინასწარმეტყველი ელია - ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი - ლევიტელთა ტომიდან აღმოცენდა ქრისტეს შობამდე ცხრაასზე მეტი წლის წინ. ნეტარის ზედწოდება - თეზბიტელი მისი მშობლიური ქალაქის, თეზბას სახელიდან მომდინარეობს (ეს ქალაქი, ერთი ვარაუდით, გალილეაში მდებარეობდა, სხვა მოსაზრებით კი - მდინარე იორდანეს მახლობლად, გალაადის ქვეყანაში). ეპიფანე კვიპრელის ცნობით, როცა ელია დაიბადა, მისმა მამამ იდუმალი ჩვენება იხილა: კეთილსახიერი ჭაბუკები ცეცხლის ალში ხვევდნენ ახალშობილს და ცეცხლით კვებავდნენ.

ელიამ სიყმაწვილიდანვე ღმერთს უძღვნა თავი - უდაბნოში განმარტოვდა და მკაცრ მარხვაში, ლოცვასა და ღვთის განგებულებაზე ფიქრში ატარებდა დღეებს. უფალმა მას საწინასწარმეტყველო მსახურებისათვის უსჯულო მეფე აქაბის ზეობისას მოუწოდა. ამ დროისთვის ისრაელი უსჯულოებაში იყო ჩაძირული: ხალხმა ზურგი აქცია სჯულს და კერპებს მოუდრიკა ქედი. კერპთმსახურების განსაკუთრებით ერთგული დამცველი იყო მეფე აქაბის მეუღლე, წარმართი იეზაბელი, რომელმაც თავისი მეუღლე ბაალის სამსხვერპლოს აგებაზე დაიყოლია. თავისი ერის გარყვნითა და გადაგვარებით თავზარდაცემული ელია აქაბის წინაშე წარდგა, ამხილა მისი უსჯულოება და სინანულისა და ჭეშმარიტ ღმერთთან მიბრუნებისკენ მოუწოდა. წინასწარმეტყველმა მას განუცხადა, რომ ღმერთთან დადებული აღთქმის დარღვევისათვის ისრაელს სასჯელად თავს დაატყდებოდა გვალვა და შიმშილობა, რომელიც მხოლოდ ელიას ლოცვით შეწყდებოდა. ელიას სიტყვები აღსრულდა: ცა შეიკრა, გამხმარი მიწა ნაყოფს არ იძლეოდა, ხალხი საშინლად იტანჯებოდა... უფალმა ელიას უბრძანა, წასულიყო „ნაღვარევსა მას ქორათისასა, რომელ არს პირისპირ იორდანესა“. აქ ელიას დღეში ორჯერ, დილა-საღამოს ყორნები უზიდავდნენ საკვებს. როცა ხანგრძლივი გვალვის გამო წყარო ქორათშიც დაშრა, წინასწარმეტყველმა ღვთის ბრძანებით სიდონის მახლობლად მდებარე სოფელ სარეფთას მიაშურა. აქ იგი ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში დაბინავდა, რომელსაც ელიას იქ ყოფნისას სასწაულებრივად არ ელეოდა ფქვილი და ზეთი. ამ დროს სარეფთელი ქვრივის ერთადერთი შვილი დასნეულდა და გარდაიცვალა. წინასწარმეტყველმა ლოცვის ძალით მკვდრეთით აღადგინა ყრმა და დედას დაუბრუნა.



სამწლიანი გვალვის შემდეგ, როცა შიმშილობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ელია სასახლის უფროს აბადიასთან ერთად საქონლისთვის საძოვრების საძებნელად გამოსული მეფე აქაბის წინაშე წარდგა. ცრურწმენით შეპყრობილმა აქაბმა მასში უბედურების მომტანი ადამიანი დაინახა და უთხრა: „შენ ხარ ამრღუე ისრაელისა?“ „არა მე, არამედ შენ და სახლი მამისა შენისა, რამეთუ დაუტევეთ უფალი ღმერთი თქუენი და შეუდეგით კვალსა ბაალისასა“, - უპასუხა წინასწარმეტყველმა და სთხოვა, ისრაელში მცხოვრები ხალხი და ბაალის ქურუმები, რომლებიც იეზაბელის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, კარმილის მთაზე შეეკრიბა. აქაბი დათანხმდა და დათქმულ დღეს კარმილის მთაზე რვაასორმოცდაათმა ქურუმმა მოიყარა თავი. ელიამ მათ შესთავაზა, თანაბარ პირობებში (სამსხვერპლოზე ცეცხლის დაუნთებლად) შეეწირათ მსხვერპლი თავიანთი ღმერთებისათვის. ამაოდ დარბოდნენ დილიდან საღამომდე სამსხვერპლოს გარშემო ქურუმები და ევედრებოდნენ ბაალს ცეცხლის მოვლინებას: „მაღლადრე უხმეთ, რამეთუ ღმერთი არს: ანუ თუ განცხრებოდეს რასამე, ანუ არა რამე სცალდეს, ანუ ეძინოს და ადგეს“, - ეუბნებოდა მათ ელია. საღამოს თავად წინასწარმეტყველმა აღადგინა კარმილზე თორმეტი ქვისაგან აგებული ძველი სამსხვერპლო, რაც სიმბოლურად ხალხის ღმერთთან დადებული აღთქმის აღდგენას ნიშნავდა; სამსხვერპლოს ირგვლივ თხრილი გააჭრევინა და იგი მსხვერპლზე და შეშაზე გადასხმული წყლით ამოავსო. ელიას ლოცვის პასუხად ზეციდან სასწაულებრივად გარდამოხდა ცეცხლი, რომელმაც შეშასა და მსხვერპლთან ერთად სამსხვერპლო ქვაბიც დაწვა და თხრილში წყალი ამოაშრო. გაოცებულმა ხალხმა ერთხმად აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი: „ნამდვილვე უფალი იგი არს, უფალი იგი არს ღმერთი!“ (3 მეფ. 18.39) და ქურუმები, როგორც ერის გამრყვნელები, კიშონის ნაღვარევთან ჩახოცა. ამის შემდეგ წინასწარმეტყველმა მეფეს მიმართა: „აღდეგ, ჭამე და სუ, რამეთუ ხმაჲ ბგერისა წვიმისა არს“ (3 მეფ. 18.41); ცა ღრუბლებით დაიფარა და ძლიერი წვიმა წამოვიდა. მეფე აქაბმაც ადიდა ღმერთი და შეინანა უსჯულოება, მაგრამ მეფის სინანული ხანმოკლე აღმოჩნდა. როცა მან თავის მეუღლეს უამბო მომხდარის შესახებ, იეზაბელი საშინლად განრისხდა და ელიას სიკვდილით დასჯა ბრძანა: უფლის რჩეულის დევნა განახლდა. წინასწარმეტყველმა ჯერ იუდეის სამეფოს, ქალაქ ბერსაბეს მიაშურა, შემდეგ კი არაბეთის უდაბნოში განმარტოვდა და, ღრმა მწუხარებით აღსავსემ, ზეცას შეჰღაღადა: „კმა არს აწ, უფალო, მიიღე სული ჩემი შენგან, რამეთუ არა უმჯობეს ვარ მამათა ჩემთა“ (3 მეფ. 19.4). ღვთის ნებით, ნათელმოსილი ანგელოზი წარდგა მის წინაშე, საზრდელით განამტკიცა და მიანიშნა იმაზე, რომ შორეული გზა ჰქონდა. სულითა და ხორცით განძლიერებული ელია სინას უდაბნოს გავლით ქორების მთისკენ გაეშურა, რომელსაც ორმოცი დღის შემდეგ მიაღწია. აქ მან ერთ-ერთ გამოქვაბულს შეაფარა თავი. უეცრად ნეტარს უფლის ხმა მოესმა: „რაჲსა ხარ შენ აქა, ელია?“ - „შემშურდა შური უფლისა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა, - უპასუხა ელიამ, - რამეთუ დაგიტევეს შენ ძეთა მათ ისრაელისათა, საკურთხეველნი შენნი დაამხუნეს და წინასწარმეტყველნი შენნი მოსწყვიდნეს მახვილითა და მე მარტო დაშთომილ ვარ და ეძიებნ სულსაცა ჩემსა მიღებად“ (3 მეფ. 19.10). უფალმა წინასწარმეტყველს გამოქვაბულიდან გამოსვლა და მთაზე დადგომა უბრძანა. თავდაპირველად ქარბუქი ამოვარდა, მიწა იძრა. მიწისძვრას ცეცხლი მოჰყვა, მაგრამ არც ქარბუქის, არც მიწისძვრისა და არც ცეცხლის დროს არ გამოცხადებია ელიას ღმერთი. ცეცხლის შემდეგ დაბერა გრილმა ნიავმა და ელიამ იგრძნო ღვთის სიახლოვე. ამ სასწაულებით უფალმა დაანახა თავის რჩეულს, რომ მას კაცობრიობის მოქცევა მოთმინებითა და წყალობით სურდა და არა საშინელი სასჯელით. იგრძნო რა ღვთის იქ ყოფნა, წინასწარმეტყველი გამოქვაბულიდან გამოვიდა და მიუწვდომელი ღვთის წინაშე კეთილკრძალული შიშით სახე ხალენით დაიფარა, ისევე, როგორც მოსემ ღვთის განცხადებისას ქორების მთაზე. ამის შემდეგ ელიამ ღვთისგან მიიღო ბრძანება, იმავე გზით წასულიყო დამასკოში და აზაელი - ასურეთის მეფედ, იუი კი - ისრაელის მეფედ ეკურთხებინა, ხოლო წინასწარმეტყველად დაედგინა ელისე. ამათგან წმიდა ელია წინასწარმეტყველმა მხოლოდ უკანასკნელის ასრულება შეძლო, ხოლო პირველი ორი მან თავის მოწაფეს, ელისეს უანდერძა. საყოველთაო განდგომილებით გულგატეხილი ელია უფალმა ანუგეშა - ამცნო, რომ ისრაელში კიდევ შვიდი ათასი მამაკაცი იყო დარჩენილი, რომელთაც თაყვანი არ უცია ბაალის კერპისათვის.

უფლის ნებით, წინასწარმეტყველი ელია ცეცხლოვანი ეტლებით იქნა აღტაცებული ზეცად. ეკლესიის სწავლებით, იგი მეორედ მოსვლის წინ ანტიქრისტეს სამხილებლად ენოქთან ერთად უნდა მოვიდეს და ხორციელი სიკვდილიც დაითმინოს (გამოცხ. 11,2-9). საეკლესიო გადმოცემით, ელიას ხალეინი საქართველოშია დაფლული, სვეტიცხოვლის ტაძარში, წმიდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკვდერში.

28 ივლისი წმიდა მოწამენის - კვირიკეს და ივლიტას ხსენების დღეა

ეს დღე დაწესებულია 3 წლის პატარა მოწამის—კვირიკეს მოსახსენიებლად. იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს დაწყებულ ქრისტიანთა დევნისას, მისმა დედამ, წარჩინებული საგვარეულოს შთამომავალმა ქრისტიანმა ქვრივმა ქალმა - ივლიტამ მიატოვა სახლ-კარი და მათხოვრის ნიღბით ბავშვთან ერთად იმალებოდა, მაგრამ ის იცნეს და მმართველ ალექსანდრეს სამსჯავროზე წარადგინეს. ივლიტამ უშიშრად აღიარა ქრისტეს სჯული, რის გამოც მმართველმა მისი გაროზგა ბრძანა. წამების დროს ივლიტა იმეორებდა: «მე ქრისტიანი ვარ და ეშმაკეულს მსხვერპლს არ შევწირავო».

დედის ტანჯვის შემყურე ბავშვი ტიროდა და მისკენ მიიწევდა. ალექსანდრემ მისი მოფერება სცადა, მაგრამ კვირიკე ხელიდან უსხლტებოდა და ყვიროდა: «დედასთან მიმიშვით, მეც ხომ ქრისტიანი ვარ». მაშინ მმართველმა ბავშვი ქვის კიბეზე მოისროლა, პატარამ ქვის წამახულ კუთხეს თავი ჩამოჰკრა და სული განუტევა. ტანჯულმა დედამ, რომელმაც მოკლული შვილი იხილა, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ წამებულის გვირგვინი არ დაიშურა მისთვის. დიდი ხნის წამების შემდეგ წმინდა ივლიტა მახვილით აჩეხეს.მისი გვამი კვირიკეს ცხედართან ერთად ქალაქგარეთ დააგდეს მხეცებისა და ფრინველების საჯიჯგნად, მაგრამ ერთგულმა მხევლებმა მოახერხეს, რომ ღამით ფარულად დაეფლათ ისინი.

ხალხური რწმენით, წმინდა კვირიკეს და ივლიტას ოჯახური ბედნიერებისა და ავადმყოფი ბავშვების გამოჯანმრთელებისათვის ევედრებიან. წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი ინახება საქართველოში.წმინდანები თავიდანვე დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ივლისის თვეს ჩვენი წინაპრები კვირიკეს თვეს ეძახდნენ.

გაყინული საცდური

ზაფხულის ცხელ დღეებში ყველასთვის საყვარელი ნუგბარი ნაყინია. ალბათ, ბევრჯერ გიფიქრიათ, ვინ გამოიგონა ეს არაჩვეულებრივი დესერტი და რა ერქვა იმ უბადლო კულინარს, რომელმაც ნაყინის რეცეპტი შექმნა...

უგემრიელესი საიდუმლო

ნაყინის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ვერსია არსებობს: ერთი ვერსიით, ის ძველ ჩინეთში შეიქმნა და ჩინელები მისი დამზადების რეცეპტს საიდუმლოდ ინახავდნენ. საბერძნეთში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ნაყინი მოგვიანებით გამოჩნდა. არსებობს გადმოცემა, თუ როგორ ბრძანა რომის იმპერატორმა ნერონმა, მოეტანათ მისთვის თოვლი და ხილის წვენი შეერიათ. ამ ვერსიის მიხედვით, პირველად ხილის ნაყინი სწორედ რომში შეიქმნა. როგორც ჩანს, ნერონი ჭეშმარიტი გურმანი გახლდათ, რადგან ყველა ტრაპეზი მისი სასახლის კარზე ამ დესერტით მთავრდებოდა. ალექსანდრე მაკედონელსაც ძალიან უყვარდა ცივი მარწყვისგან მომზადებული ნაყინი და ლაშქრობის დროს ყოველთვის მიირთმევდა.

მეფეთა დესერტი

ნაყინით გატაცების მორიგმა ტალღამ ევროპას შუა საუკუნეებში გადაუარა. ცნობილმა მოგზაურმა მარკო პოლომ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ყველას გააცნო ნუგბარი, რომელიც შემდეგ არისტოკრატთა მენიუს განუყოფელ ნაწილად იქცა. იმ ხანებში ნაყინის პოპულარობამ ზენიტს მიაღწია. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მზარეულები მის რეცეპტს ისევ ასაიდუმლოებდნენ. საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როდესაც ეკატერინე მედიჩი ცოლად გაჰყვა საფრანგეთის მეფე ჰენრიხ მეორეს და იტალიიდან თავისი შეფ—მზარეული ჩაიყვანა. საფრანგეთის სამეფო კარი მოიხიბლა დედოფლის მზარეულის მიერ მომზადებული დესერტით. მეფის მრჩევლები შეიკრიბნენ და მოითხოვეს, მზარეულს ნაყინი მათ თვალწინ მოემზადებინა, რითაც ამ საიდუმლოს ერთხელ და სამუდამოდ აეხდებოდა ფარდა.

დროთა განმავლობაში შემუშავდა ახალ—ახალი რეცეპტები ყინულის, შარბათისა და რძისაგან ნაყინის მოსამზადებლად. მას დიდი სიამოვნებით მიირთმევდნენ იტალიისა და საფრანგეთის მეფეთა კარზე. თანამედროვეთა თქმით, გურმანად აღიარებული ლუდოვიკო XIV უარს ვერასოდეს ამბობდა ცდუნებაზე, რომელსაც სახელად ნაყინი ერქვა.

საქვეყნოდ გამხელილი საიდუმლო

სხვათა შორის, ნაყინის ერთგვარი ნაირსახეობა რუსეთშიც იყო გავრცელებული—იქ უძველესი დროიდან მიირთმევდნენ გაყინულ რძეს. ციმბირის სოფლებში დიასახლისები დღემდე ჯამებით ყინავენ რძეს და სიცხის დროს სვამენ.

1660 წელს პარიზში გაიხსნა პირველი კაფე-სანაყინე, სადაც საუკუნეების შემდეგ დაახლოებით 80 სახეობის ნაყინს ამზადებდნენ. თურმე, ამ კაფეში ხშირად დადიოდა ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელსაც ნაყინი იმდენად ჰყვარებია, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლების შემდეგ ინგლისიდან სპეციალური აპარატი გამოუწერია მის დასამზადებლად.

საუკუნეთა განმავლობაში ნაყინი ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. გაჩნდა მისი უამრავი ნაირსახეობა, რომლებმაც ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ნაყინს ამზადებენ ბერძნული თხილის, მწვანე ჩაის, ტყის ფოთლებისგან... აღარაფერს ვამბობთ ანანასის, კენკრის, ხილის წვენისა და ბოსტნეულისაგან მომზადებულ ნაყინზე. იაპონელები ნაყინის ინგრედიენტებად თევზსა და ზღვის პროდუქტებსაც კი იყენებენ.

ბოლო წუთები ნაყინთან ერთად

ისტორიას შემორჩა მალტის ორდენის კავალერის, გრაფ ლიტის სახელი, რომელიც თითქმის მხოლოდ ნაყინით იკვებებოდა. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ მან ათი ულუფა ნაყინი მოითხოვა და დიდი სიამოვნებითაც მიირთვა. ნაყინი ძალიან უყვარდათ ჯორჯ ვაშინგტონსა და თომას ჯეფერსონს, რომლებიც თავიანთ სტუმრებს ხშირად უმასპინძლდებოდნენ ამ ნუგბარით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაყინი სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაცაა, თუმცა, მას აქვს ერთი უარყოფითი თვისება—ძალიან კალორიულია და შეიძლება ზედმეტი კილოგრამების დაგროვების წყარო გახდეს. ამასთან, ეს გემრიელი ნუგბარი, კბილების მტერია—მისი დიდი რაოდენობით მიღება აზიანებს მინანქარს და იწვევს კარიესს. თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ დრეს ნაყინის დაგემოვნება ყველას შეუძლია და ეს სიამოვნება უკვე აღარ არის მეფეთა და არისტოკრატთა პრივილეგია.

მზე, ზღვა და ჯანმრთელობა

ზღვის წყალს საკმაოდ რთული შემადგენლობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ის მენდელეევის პერიოდული სისტემის პრაქტიკულად ყველა ქიმიურ ელემენტს შეიცავს. ზღვის წყალში გახსნილია მინერალური მარილები, აირები (ჟანგბადი, აზოტი, ინერტული აირები, ნახშირორჟანგი, ზოგიერთ რეგიონში - გოგირდწყალბადიც), ქიმიური ელემენტები (კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, რკინა, ბარიუმი, ქრომი, იოდი, ქლორი, მანგანუმი, დარიშხანი, ვერცხლი, ოქრო, ურანი, რადიუმი) და ორგანული ნივთიერებები.

ზღვის წყლის მარილიანობა საშუალოდ 3,5%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ყოველ ლიტრში 35 გრამი მარილია გახსნილი. სხვადასხვა ზღვის წყალი სხვადასხვა ოდენობის მარილს შეიცავს. ზღვის წყალს სიმლაშეს ნატრიუმის ქლორიდი აძლევს, სიმწარე კი ნატრიუმის სულფატის, მაგნიუმის ქლორიდისა და მაგნიუმის სულფატის დამსახურებაა. ზღვის წყლის ერთ-ერთი თვისებაა, მუდმივად შეინარჩუნოს რაოდენობრივი ურთიერთშეფარდება იმ მარილთა იონებს შორის, რომლებიც მასში არსებულ მინერალურ ნივთიერებათა 99,9%-ს შეადგენს.

ზღვის კლიმატი

ზღვის კლიმატს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: გეოგრაფიული მდებარეობა, წყლის თავზე ჰაერის მასების მოძრაობა, ნაპირის ხასიათი და ხმელეთის რელიეფი. ამ ფაქტორების კვალობაზე, განასხვავებენ სამი ტიპის სანაპირო კლიმატს:

- თბილსა და ტენიანს;
- გრილსა და ტენიანს;
- თბილსა და მშრალს.

რა ახასიათებს ზღვის კლიმატს?

- მაღალი ატმოსფერული წნევა და მზის რადიაცია;
- ჰაერის მაღალი ტენიანობა;
- უმნიშვნელო სხვაობა ჰაერის ტემპერატურის დღეღამურ და სეზონურ მაჩვენებლებს შორის;
- არეკლილი ულტრაიისფერი სხივების უხვი შემცველობა;
- ბრიზი - ქარი, რომელიც ხმელეთისა და ზღვის ტემპერატურათა სხვაობის გამო წარმოიქმნება და დღისით, როდესაც ხმელეთის ტემპერატურა უფრო მაღალია, ზღვიდან ხმელეთისკენ ქრის, ხოლო ღამით, როცა ხმელეთის ტემპერატურა ზღვისაზე დაბალია - ხმელეთიდან ზღვისკენ;
- იოდის, ბრომის, ქლორნატრიუმის, ოზონისა და სხვა მიკროელემენტების სიუხვე.



სად დავისვენოთ?

იქ, სადაც თავს კარგად იგრძნობთ. არჩევანი დამოკიდებულია თქვენს პიროვნულ თვისებებსა და ჯანმრთელობაზე.

წითელი ზღვა

წითელი ზღვის ჰაერი ძალიან მშრალია (ტენიანობა არ აღემატება 20-30 პროცენტს). იგი გავჯერებულია ჟანგბადით და ბრომის შემცველობის გამო დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. მთელი ზაფხული განუწყვეტლივ ქრის ჩრდილოდასავლეთის ქარი, ამიტომ სიცხეს (ჩრდილოეთით - 30 გრადუსამდე, სამხრეთით - 40 გრადუსამდე) ორგანიზმი ადვილად იტანს. ასეთი კლიმატი ძალიან სასარგებლოა ქრონიკული სურდოს დროს, მაგრამ ჯანმრთელ ადამიანს შესაძლოა დისკომფორტი შეუქმნას, რადგან აშრობს სასუნთქ გზებს.

წითელ ზღვაში არ ჩადის არც ერთი მდინარე. ის ძალიან გამჭვირვალე, თბილი და ყველაზე მარილიანია - წყლის ერთ ლიტში 41 გრამი მარილია (შედარებისთვის: მარილის კონცენტრაცია ღია ოკეანეში 34 გრამია, ბალტიის ზღვაში კი სულ 5 გრამი). ზღვის მარილი კარგად ახორცებს ჭრილობებს და ხელს უწყობს კანის დაავადებების, მათ შორის დერმატიტის, ნეიროდერმიტისა და ფსორიაზის, განკურნებას. ზღვის წყალში გახსნილი მარილის იონები აუმჯობესებს თიმუსის მუშაობას, რომელიც იმუნური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ძალიან მლაშე წყალში ბანაობა სასარგებლოა რევმატული დაავადებების დროს: მას აქვს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

მზე

წითელი ზღვის სანაპიროზე ადვილად დაინვებით. მზის გამოსხივება აქტიურია, ხოლო ხშირი ქარები სიგრილის ცრუ შეგრძნებას ბადებს. ეცადეთ, პლაჟზე დილის 11 საათამდე ან 16 საათის შემდეგ გახვიდეთ.

ხმელთაშუა ზღვა

ზაფხულში ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე ჰაერი 25 გრადუსამდე თბება, სამხრეთ სანაპიროებზე კი 40 გრადუსამდე. კუნძულებზე (კორსიკა, სარდინია, სიცილია, კრეტა, კვიპროსი) სიცხისგან გათანგულ ტურისტებს ქარი შველის. რომ არა მაღალი (50%-ზე მეტი) ტენიანობა, აქაური კლიმატი წითელი ზღვისასა დაემსგავსებოდა. ივლის-აგვისტო უმჯობესია გაატაროთ საფრანგეთის სამხრეთით, იტალიის ჩრდილო-დასავლეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრილოეთ ხორვატიაში, სექტემბერში კი შეგიძლიათ გაემგზავროთ, საითაც გენებოთ - უკვე აღარ ცხელა, ზღვა კი კვლავინდებურად თბილია. უმჯობესია, დაისვენოთ ხმელთაშუა ზღვის ისეთ სანაპიროებზე, სადაც მრავლად არის წიწვოვანი ტყეები. ნახევრად სტეპურ რაიონებში (როგორიც არის, მაგალითად, თურქეთის ანტალია) დასვენება, სადაც გამწვანება მხოლოდ სასტუმროს ტერიტორიაზეა, გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით უეფექტოა.

ხმელთაშუა ზღვის წყალს მეორე ადგილი უკავია მარილებით გაჯერების მხრივ. გაითვალისწინეთ: დასვენება ზაფხულში ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე კარგია იმუნიტეტისთვის, მაგრამ არცთუ ისე უხდება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებებს. აქ საკმაოდ ცხელა, მზის ულტრაიისფერი გამოსხივებაც ძლიერია, ამიტომ ხშირია სხეულის გადახურება და ძლიერი დამწვრობა. ამის გამო ევროპიდან ჩამოსული ტურისტებისთვის ძალზე აქტუალურია გარუჯვის წესების დაცვა.

სასწრაფოდ იყიდება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში — „ჯარის წყლის“ მიმდებარე ლესელიძის ქ. N5-ში ორსართულიანი კაპიტალური ბინა კარგ მდგომარეობაში, ეზოთი, ბაღჩით, სათავსოებით, გარაჟით, უზრუნველყოფილი წყლით, ბუნებრივი აირით, ქით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით:

592 78 53 42, გელა პოპიაშვილი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება მაღაზიის შენობა დედოფლისწყაროში ყველა საჭირო ინვენტარით. 100 კვადრატული მეტრი სავაჭრო დარბაზით, 200 კვადრატული მეტრი დამხმარე სათავსოებით და ეზოს ფართით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:

599 26 80 28; 557 75 03 01

ამინდი — დედოფლისწყარო

	შაბათი 28.07		კვირა 29.07		ორშაბათი 30.07		სამშაბათი 31.07		ოთხშაბათი 01.08		ხუთშაბათი 02.08		პარასკევი 03.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	30°	29°	30	29°	29°	25°	28°	25°	31°	20°	33°	27°	35°	29°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K